თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №6955903

ნომერი: AR11024875

თარიღი : 20.03.2024

გაცემის თარიღი : 28.03.2024

გაცნობის თარიღი : 30.03.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხვითარია პ/ნ 01024020824
- k. kapanelis 5 b 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 20 მარტს №AR11024875 განცხადებით მომართა ნინო ხვითარიამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6936015 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6936015 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №12- ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე (ს/კ: №01.10.14.015.047.01.502) სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6936015 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა საკადასტრო კოდის მითითებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უთითებს, რომ №01.10.14.015.047.01.502 საკადასტრო კოდის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს №01.10.14.015.047.01.503 საკადასტრო კოდი.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2024 წლის 11 მარტს №AR11022748 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქ. თბილისში, ალექსადრე ყაზბეგის გამზირი №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე (ს/კ: №01.10.14.015.047.01.502) სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებაზე მშენებლობის შეტყობინების მიღება. აღნიშნულ განცხადებაზე, განმცხადებლის მიერ „განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე“ მონიშნულ იქნა №01.10.14.015.047.01.502 საკადასტრო კოდი. შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6936015 გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა №01.10.14.015.047.01.502 საკადასტრო კოდი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 19 მარტის №6936015 გადაწყვეტილებაში საკადასტრო კოდის მითითებასთან დაკავშირებით. აქვე, განგიმარტავთ, რომ საკადასტრო კოდის ცვლილება საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.